

თეზისების გაფორმების წესი:

გაერთიანებულ დოკუმენტში (MS Word) გთხოვთ შეიტანოთ შემდეგი მონაცემები:

1. ავტორის სახელი და გვარი ქართულად და ინგლისურად;
2. თეზისების სათაური ქართულად და ინგლისურად;
3. ორგანიზაციის დასახელება ქართულად და ინგლისურად;
4. ფაკულტეტის დასახელება ქართულად და ინგლისურად;
5. თეზისების ძირითადი ტექსტი (MS Word-ის ფორმატით) ქართულად და ინგლისურად;
6. **3-5 საკვანძო სიტყვა ქართულად და ინგლისურად;**
7. ფორმატი — **A4**
8. შრიფტი — **UNICODE (Sylfaen)**
9. თეზისების /სტატიის ძირითადი ტექსტი დაიწყეთ მომდევნო, ახალი გვერდიდან, **12 ზომის** შრიფტით.
10. ფოტოების და სხვა გრაფიკული გამოსახულების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს JPG ფორმატში.
11. თეზისის მოცულობა: 300 სიტყვა.
12. თავფურცელი გააფორმეთ შემდეგი თანმიმდევრობით:
 - **ავტორ(ებ)ი — 12 ზომის** შრიფტით ცენტრში;
 - **სათაური — 12 ზომის** შრიფტით ცენტრში;
 - ორგანიზაცია, მაგ., **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — 12 ზომის** შრიფტით ცენტრში;
 - **ფაკულტეტის დასახელება — 12 ზომის** შრიფტით ცენტრში;
 - **ბოლოს — საკვანძო სიტყვები.**

Interdisciplinary International Scientific Conference Dedicated to the Writer, Scholar, and Translator – Shalva Vardidze

On **December 18–19, 2025**, the Faculty of Humanities of Ivane Javakhishvili Tbilisi State University will host an interdisciplinary scientific conference dedicated to the writer, scholar, and translator – *Shalva Vardidze – A Devotee of Georgian Culture*.

Those wishing to participate in the conference are required to submit their abstracts by November 15, 2025, via the following email address: tsuconference@tsu.ge

Format of participation: In-person presentation.

The conference will include (but is not limited to) the following thematic areas:

-
- Migration and Identity
 - Georgian Writers in Georgia and Abroad
 - Educational Centers – Past and Present
 - Georgian Catholic Priests Abroad
 - Foreign-language Translations of *The Knight in the Panther's Skin*
 - Translation and Literary Relations
-

Venue: TSU First Building, Tbilisi

Working languages: Georgian / English

As part of the conference, there will be a presentation of Rinaldo Marmara's two-volume work: *DOCUMENTS POUR L'HISTOIRE DE L'ÉGLISE GEORGIENNE*.

Contact Person:

Assoc. Prof. Ekaterine Navrozashvili,
Head of the Office of Research and Development,
Faculty of Humanities, TSU,
Room 204, TSU First Building.

ekaterine.navrozashvili@tsu.ge

Abstract Submission Guidelines:

Please submit a single combined document (MS Word format) containing the following information:

-
1. Author's full name (in Georgian and English)
 2. Title of the abstract (in Georgian and English)
 3. Name of the institution (in Georgian and English)
 4. Name of the faculty (in Georgian and English)
 5. Main text of the abstract (both in MS Word and PDF formats) in Georgian and English
 6. 3–5 keywords (in Georgian and English)
 7. Paper size: A4
 8. Font: UNICODE (Sylfaen)
 9. Start the main text of the abstract/article on a new page using font size 12
 10. All images and graphics must be submitted in JPG format
 11. Abstract length: 300 words
 12. The title page should be formatted in the following order:
 - Author(s) – centered, font size 12
 - Title – centered, font size 12
 - Institution (e.g., Ivane Javakhishvili Tbilisi State University) – centered, font size 12
 - Faculty – centered, font size 12
 - Keywords at the end
-

შალვა ვარდიძე

კათოლიკე მღვდელი და საზოგადო მოღვაწე შალვა ვარდიძე დაიბადა ადიგენის რ-ის სოფ. არალში. 1885 წ. ჩავიდა სტამბოლში განათლების მისაღებად და სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა სტამბოლის ფერიქიის უბანში.

1911 წ. სტამბოლში შალვა ვარდიძემ დაარსა ქართული კლუბი, რომლის წესდებაც ოსმალეთის მთავრობამ უცვლელად დაადგინა. ქართულ კლუბში შემუშავდა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების პროგრამა. 1914 წლისთვის დაიგეგმა ქართული სკოლის გახსნაც, მაგრამ ქართული კლუბის გეგმების განხორციელებას I მსოფლიო ომის დაწყებამ შეუშალა ხელი.

მალიან დიდია სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა უმანკო ჩასახების სავანის წვლილი საქართველოს 1914-1917 წწ. და 1920-1930 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. სწორედ სავანის ტერიტორიაზე, მონასტრის სასტუმრო სახლში მოქმედებდა 1914 წ. ჟენევაში დაარსებული "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" იგივე "დამოუკიდებლობის კომიტეტი". "დამოუკიდებლობის კომიტეტის" მიზანი იყო გერმანიის პროტექტორატით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. "დამოუკიდებლობის კომიტეტის" საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სავანის წინმძღვარი შალვა ვარდიძე, ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის გაზ. "კომუნისტი" (1928წ №212).

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ბრძოლისათვის შალვა ვარდიძე დაჯილდოებული იყო თამარ მეფის სახელობის ლეგიონის ორდენით.

1921 წ. სტამბოლის ქართველთა სავანის სტამბაში დაიბეჭდა ქართული ემიგრანტული პოლიტიკური ჟურნალის "თავისუფალი საქართველოს" პირველი ნომრები.

შალვა ვარდიძე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ. ფლობდა ცხრა ენას და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში ცხრავე ენაზე აქვეყნებდა სტატიებს და უცხოელებს აცნობდა ქართული კულტურის ისტორიას.

შალვა ვარდიძემ ფრანგულ ენაზე თარგმნა "ვეფხისტყაოსნის" თავები. საინტერესო კომენტარები აქვს "ვეფხისტყაოსნის" ქართული ტექსტის შესახებ. მნიშვნელოვანია შ. ვარდიძის ლიტერატურული მიმოხილვები, განსაკუთრებით ვახტანგ ორბელიანის მთელი შემოქმედების მიმოხილვა, რომელიც თარგმნილი აქვს ფრანგულ ენაზე. ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც, 1921 წელს ფრანგულიდან ქართულად თარგმნა იტალიელი მწერლისა და დიპლომატის ევგენი დალეჯიო დალესიოს ნაშრომი "ქართველები კონსტანტინეპოლში". ის ასევე გახლავთ საინტერესო პოეტი. მისი ლექსები ძირითადად პატრიოტული ხასიათისაა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია შალვა ვარდიძის ისტორიული ხასიათის ნაწარმოებები - არაბულ ენაზე დაწერილი და ბეირუთში გამოქვეყნებული საქართველოს მოკლე ისტორია. ასევე არაბულ ენაზე დაწერილი დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი "დიდი საქართველოს პატრონი". რომელითაც ავტორმა არაბულ სამყაროს გააცნო საქართველოს ოქროს ხანა.

1945 წლიდან რეპრესირებული შალვა ვარდიძე ქ. ბეირუთთან ახლოს მდებარე ლიბანის მთის ქრისტიანული კერების ერთ-ერთ მონასტერში მოღვაწეობდა. გახლდათ ბეირუთის უნივერსიტეტის ფრანგული უნივერსიტეტის პროფესორი.

შალვა ვარდიძე გარდაიცვალა ლიბანში 1957 ან 1958 წელს. მისი არქივი დიდი რისკის ფასად თურქეთში ჩამოიტანა და ქართველ კათოლიკეთა მონასტერს გადასცა ბიზნესმენმა და საზოგადო მოღვაწემ სიმონ ზაზაძემ.

წყარო:

1. ფუტკარაძე, შუშანა. სტამბოლის ქართული სავანე / შუშანა ფუტკარაძე ; სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრი. - თბ. : [არტანუჯი], 2012. - 146 გვ. : ფოტ. ; 20 სმ. - (სამხრეთ კავკასია და ანატოლია, ISSN 1512-4479 ; 7 / სერიის მთ. რედ. როინ მეტრეველი). - რეზ. ინგლ. და თურქ.. - საძიებლები: გვ. 71-81. - ბიბლიოგრ.: გვ. 69-70. - ISBN 978-9941-421-61-7

Shalva Vardidze

Catholic priest and public figure Shalva Vardidze was born in the village of Arali, Adigeni District. In 1885, he went to Istanbul to pursue education and served in the Feriköy district as a clergyman.

In 1911, he founded a Georgian club in Istanbul, the statute of which was approved unchanged by the Ottoman authorities. The club developed the program for the Georgian Catholic Society. A Georgian school was planned to be opened by 1914, but the outbreak of World War I prevented its realization.

The Immaculate Conception Convent of the Georgian Catholics in Istanbul played a significant role in Georgia's national-liberation movement during 1914–1917 and 1920–1930. The "Georgian Independence Committee" (also known simply as the "Independence Committee"), established in Geneva in 1914, operated from the monastery's guesthouse. Its goal was to restore Georgia's independence under German protection. The committee's work was actively supported by Shalva Vardidze, the monastery's head. The newspaper *Komunisti* (1928, No. 212) provides valuable information about this.

For his dedicated struggle for Georgia's independence, Shalva Vardidze was awarded the Order of Queen Tamar Legion.

In 1921, the first issues of the Georgian émigré political journal *Free Georgia* were printed at the monastery's press in Istanbul.

Throughout his life, Shalva Vardidze actively promoted Georgian culture abroad. He was fluent in nine languages and published articles in all of them in international journals and newspapers, introducing readers to Georgian cultural history.

He translated chapters of *The Knight in the Panther's Skin* into French and provided insightful commentary on the original Georgian text. His literary reviews, especially his comprehensive study of the works of Vakhtang Orbeliani (translated into French), are of significant value.

In 1921, he translated from French into Georgian the work *Georgians in Constantinople* by Italian writer and diplomat Eugenio D'Alessio D'Alessio. He was also a poet, mostly writing patriotic poetry.

Vardidze's historical works deserve special mention, including his *A Brief History of Georgia*, written in Arabic and published in Beirut, and *The Great Patron of Georgia*, dedicated to King David the Builder. These works introduced the Arab world to Georgia's Golden Age.

From 1945, Shalva Vardidze, having been repressed, lived and worked in a Christian monastery near Beirut, located in the Lebanese mountains. He was also a professor at the French University in Beirut.

Shalva Vardidze died in Lebanon in either 1957 or 1958. His archive was brought to Turkey at great personal risk by businessman and public figure Simon Zazadze and transferred to the Georgian Catholic monastery.

Source:

1. Shushana Putkaradze. *The Georgian Convent in Istanbul* / Shushana Putkaradze; Center for South Caucasus and Anatolian Studies. – Tbilisi: [Artanuji], 2012. – 146 pp.: photos; 20 cm. – (South Caucasus and Anatolia, ISSN 1512-4479; 7 / Series ed. Roin Metreveli). – Summary in English and Turkish. – Index: pp. 71–81. – Bibliography: pp. 69–70. – ISBN 978-9941-421-61-7